№1852 2015 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და Lazard FRERES-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მოწონების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესებასა და უცხოელ ინვესტორებს შორის საქართველოს ცნობადობის გაზრდაში დახმარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ Lazard FRERES-ის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

2. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა

და Lazard FRERES-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

3. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების მიმართ არ გავრცელდეს ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“, „ე“, „თ“, „ი“ ქვეპუნქტები, მე-20 და 21-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**